



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კლდიაშვილი რევაზ (რემო) შოთას ძე



რ. კლდიაშვილი

კლდიაშვილი რევაზ (რემო) შოთას ძე (დ. 24. IX. 1947, ქუთაისი), მწერალი, დრამატურგი, ქიმიკოსი. 1971 დაამთავრა სპი-ის ქიმიური და კვების ტექნოლ. ფაკ-ტი. 1987-იდან კითხულობს ლექციებს სტუ-ში (2009-იდან – პროფესორი). 2014-იდან ხელმძღვანელობს საქართველო ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის ლაბორატორიას. არის 2 სახელმძღვანელოს, 3 მონოგრაფიისა და მრავალი სამეცნ. სტატიის ავტორი ქიმიკაში.

1981-იდან კ-ის მოთხრობები იბეჭდებოდა ჟურნ. „ცისკარსა“ და გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“. 1990 გამოსცა მოთხრობების პირველი კრებული, 1998 – კრებ. „მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“; 2002 – პიესების კრებ. „იადონას თეატრი“. ავტორია 2 ისტ. პიესისა: „პატრონი“ (1998) და „ბიზანტიის დედოფალი“ (1999), ასევე პიესებისა: „საპოვნელა“ (1995); „იადონას თეატრი“ (1997; ორივე დაიდგა მარჯანიშვილის თეატრში); „შორაპნელი ქალბატონები“ (1998; რუსთაველის თეატრი), „მანველიძეების ოჯახი“ (2001; მეტეხის თეატრი); „მარტოობის ბინადარი“ (მონოპიესა, 2001; თეატრი „ვერიკო“); „სუფრა“ (2003; ქართ.-პოლანდ.-გერმ. პროექტი, დაიდგა ამსტერდამსა და ბერლინში); „ზარატუსტრას ჟამი“ (2005; ქართ., გერმ. და რუს. ენებზე; ავტორისეული წაკითხვა თეატრებში: „ვერიკო“, სამეფო უბნის თეატრი); „იმერული რეკვიემი“ (2014; ახმეტელის თეატრი); ქალბატონი ძალაუფლების სურნელით“ (2022, ქართ., ჩინ. და ინგლ. ენებზე) და სხვ. გარდა ამისა, კ-ის პიესები იდგმებოდა ფოთის,

ზუგდიდის, თერჯოლის, ახალციხის, ზესტაფონისა და სხვ. თეატრების სცენაზე.

მიღებული აქვს დ. კლდიაშვილის სახ. პრემია (2000; მოთხრ. კრებულისათვის „მეც ჩემი ბავშვობიდან მოვდივარ“), საქართვე. სახელმწ. პრემია ლიტ-რის დარგში (დრამატურგია, 2002; პიესების კრებულისათვის „იადონას თეატრი“), საქართვე. თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრემია (2009; წლის საუკეთესო სპექტაკლისათვის „გარატუსტრას ჟამი“); 2017 კულტ. განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მიენიჭა „ხელოვნების ქურუმის“ წოდება. 2019 - დავით და სერგო კლდიაშვილების სახ. მუზეუმის საპატიო ჯილდო „ძელქვის ფოთოლი“. არის ქუთაისის საპატიო მოქალაქე (2018).

ლიტ.: ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი ლ., რეზო კლდიაშვილი, თბ., 2018.

მ. თუშიშვილი
